ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 170

"26" დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქუჩა №31 (ყოფილი - ქ. თბილისი, გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №6ბ-ს მიმდებარედ; გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ) (საკადასტრო კოდი: №01.11.10.004.148) მდებარე მშენებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-11 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, მე-12 პუნქტისა და შპს „სექტორი 7"-ის (ს/ნ 405388129) დაზარალებულთა №19/03253363-03 და №19/032534529-03 განცხადებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭოს შემდეგ საკადასტრო ერთეულზე მდებარე მშენებარე ობიექტს: ქ. თბილისი, ზურა მირაქიშვილის ქუჩა №31 (ყოფილი - ქ. თბილისი, გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №6ბ-ს მიმდებარედ; გლდანის VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ) (საკადასტრო კოდი: №01.11.10.004.148).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე